გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

12. 07. 2021

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6

ქალბატონო ნინო,

თქვენი, 2021 წლის 09 ივლისის №7155/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში, ქუთაისი-ალპანა-მამისონის ავტომაგისტრალის 120-ე კილომეტრზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე შპს **„ბ.პ. ტრანსი"**-ს მიერ დაგეგმილ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მონტაჟისა და ექსპლოატაციაში გაშვებისათვის ჩვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არსებულ უზუსტობებს და შენიშვნებს, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ გასწორებული იქნა ყველა შენიშვნა და უზუსტობები.

საქართველოს კანონის „გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მოთხოვნებების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ამ საწარმოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადების შესწორებულ ვარიანტს.

სკრინინგის განცხადება თანდართულია,
დანართი 6 ფურცელი

პატივისცემით,
/შპს „ბ.პ. ტრანსი"-ს დირექტორი /ბიჭიკო პაიკიძე/
ტელ. 577252919

№ 12392
"14" 07 2021
1/6

შპს „ბ.პ. ტრანსი"-ს დაგეგმილი საქმიანობის

სკრინინგის განცხადება.

გაცნობებთ, რომ მ/წლის 28 მაისს თქვენდამი ქვემდებარე სამინისტროში შპს „ბ.პ. ტრანსი"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხებოდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში, ქუთაისი-ალპანა-მამისონის ავტომაგისტრალის 120-ე კილომეტრზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე შპს „ბ.პ. ტრანსი"-ს მიერ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მონტაჟს და ექსპლოატაციაში გაშვებას.

როგორც სამინისტროდან მიღებული წერილით ირკვევა, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებაში აღმოჩენილი იქნა გარკვეული სახის ხარვეზები და უზუსტობები, რაც ჩვენს მიერ გასწორებული იქნა და ხელახალად მომზადებული განცხადება გადმოგზავნილი იქნა სამინისტროში მ/წლის 30 ივნისს (წერილი №11520), თუმცა, როგორც თქვენგან მიღებული ახალი წერილიდან ირკვევა ჩვენს მიერ მთლიანად არ მოხდა წინა განცხადებაში არსებული ხარვეზების და უზუსტობების აღმოფხვრა.

აღნიშნულის გასწორების მიზნით ჩვენს მიერ შპს „ჯეოგრაფიკი"-ს სპეციალისტებთან ერთად განმეორებით იქნა შესწავლილი საპროექტო ტერიტორია, სადაც დაგეგმილია მობილური ქვა-ღორღის გადამამუშავებელი აგრეგატის მონტაჟი და ექსპლოატაციაში გაშვება.

წარმოგიდგენთ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი აგრეგატის განთავსების ხელახალად შესწავლილ და დაზუსტებულ GPS კოორდინატებს: X-378843,64; Y-4720017,31.

საწარმოს მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის გამოყოფილი 1000 $მ^2$ ტერიტორია, (საკ. კოდი 88.09.22.107) წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კუთვნილებას და არენდული უფლებებით გადაეცა ზემოთხსენებულ საზოგადოებას, არსებული ორმხვრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის გამოყოფილი ტერიტორია წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კუთვნილებას და არენდული უფლებებით გადაეცა ზემოთხსენებულ საზოგადოებას, არსებული ორმხვრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

მოცემულ ტერიტორიაზე განთავსდება თურქული კომპანია TASSAN MAKINI–ს ქვა-ღორღის გადამამუშავებელი მობილური დანადგარი, რომელიც მისი წარმადობიდან გამომდინარე საათში გადაამუშავებს 20 $მ^3$ ინერტულ მასალას-ბალასტს.

ქვა-ღორღის გადამამუშავებელი დანადგარი აღჭურვილი იქნება შემდეგი

სამრეწველო აგრეგატებითა და კვანძებით:

–ინერტული მასალის მიმღები ბუნკერი;

–ინერტული მასალების მიმწოდებელი და დამახარისხებელი ლენტური ტრანსპორტიორები (3 ცალი);

–ინერტული მასალის პირველადი და მეორეული მტვრევის (სველი მასალა) აგრეგატი-ყბებიანი სამსხვრეველა;

–ინერტული მასალის მესამეული მტვრევის (სველი მასალა) აგრეგატი-როტორული სამსხვრეველა;

საწარმოს ტერიტორიაზე ბალასტის შესყიდვა და შემოტანა მოხდება ონის მუნიციპალიტეტიდან 1,5 კილომეტრში, მდინარე რიონზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) კარიერიდან. ბალასტის შემოტანა მოხდება ავტოთვითმცლელებით, რომელთა ტვირთამწეობა საშუალოდ 15-20მ³ იქნება. ბალასტი შემოიტანება ცენტრალური ავტომაგისტრალით და განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ. საწარმოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ ასევე განთავსდება მზა პროდუქცია ღორღი და ქვიშა.

საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვების დროს ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ძირითადი სახეობა იქნება მტვერი, რომელიც გამოიყოფა ქვა–ღორღის გადამუშავებელი დანადგარის სამრეწველო აგრეგატებისა და კვანძების მუშაობის დროს.

გარდა ზემოთხსენებულისა, მტვრის ატმოსფეროში გაფანტვა მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ინერტული მასალების ღია ცის ქვეშ არსებული საწყობებიდან.

არსებული წარმადობიდან გამომდინარე, საწარმოს, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში დაგეგმილი აქვს საათში გადაამუშაოს 20 მ³ ქვა-ღორღი, რაც წლიურად 42000 მ³ შეადგენს. ქვა-ღორღის გადამუშავება მოხდება ე.წ. სველი მეთოდით. საწარმო იმუშავებს დღეში 10 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 210 სამუშაო დღით წელიწადში. გაანგარიშებულია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის (მტვერი) ინტენსივობა და დადგენილია, რომ დაგეგმილი საწარმოო სიმძლავრეების თანახმად რაოდენობა 0,21 გრ/წმ-ს ტოლი იქნება.

საწარმოს ტექნოლოგიური მიზნებისათვის, კერძოდ, ინერტული მასალის გარეცხვისათვის, წყლის აღება მოხდება მდინარე რიონიდან, რომლის სანაპიროზე, (GPS კოორდინატები: X-378846 ; Y-4719915) მოეწყობა 20 მ³ მოცულობის ბრუნვითი

წყალმომარაგების სპეციალური გუბე, (ააუზი), საიდანაც ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება წყალი აგრეგატს.

უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის ექსლპოატაციაში გაშვება არაა დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებთან, იმდენად, რამდენადაც აგრეგატი წარმოადგენს **მობილურ** დანადგარს და მისი მონტაჟი და ექსპლოატაცია სამშენებლო საამუშაოებს არ ექვემდებარება რაც, თანახმად საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებისა „წყალდაცვითი ზოლის შესახებ", მე-4 მუხლის I პუნქტისა აღნიშნული ობიექტის ექსპლოატაცია სავსებით აკმაყოფილებს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუმცაღა ჩატარებული ხელახალი გაზომვებით მანძილი აგრეგატის განთავსების წერტილიდან მდინარე რიონის კალაპოტამდე 60-70 მეტრია.

საწარმოს წარმადობიდან გამომდინარე ტექნოლოგიური მიზნებისათვის საწარმო დღიურად გახარჯავს 800 მ^3 წყალს, რაც წლიურად (800x210) 168000 მ^3 იქნება.

ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული წყლის, რომელიც პირობითად დაბინძურებული იქნება მყარი ნაწილაკებით (მტვერი), ჩაშვება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ შემკრებ-სალექარში. ამ მიზნით, და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი"-ს მოთხოვნებების შესრულებისათვის და ჩაშვებული წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდისათვის საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 2-საფეხურიანი (ეფექტურობა 80-85%) შემკრებ-სალექარის მოწყობა, რომლის ზედაპირის ფართობი 1,6 კვადრატული მეტრი იქნება, ხოლო სიღრმე 1,2 მეტრი. გამოყენებული წყალი სალექარის გავლის შემდეგ, გაწმენდილი ჩაიშვება ბრუნვითი წყალმომარაგების გუბეში (აუზში).

ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 80 მ^3 /სთ-ში, თუმცა ბრუნვითი სისტემის გათვალისწინებით მდინარე რიონიდან წყალაღება მოხდება ტექნოლოგიური დანაკარგის (10%) შესავსებად. შესაბამისად, მდინარიდან აღებული წყლის რაოდენობა შეადგენს 8 მ^3 /სთ-ში, რაც წელიწადში (210x10x8) 16800 მ^3 იქნება.

რაც შეეხება საწარმოს სასმელი წყლით მომარაგებას, ის მოხდება შპს „დაგი+"-ს ტერიტორიაზე არსებული საწყლოსნო მაგისტრალიდან, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. გამოყენებული წყლისა და საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი სხვა სახის ფეკალური მასების ჩაშვება მოხდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ შამბოში, საიდანაც დაგროვილი მასა რეგულარულად გაიტანება სპეციალური სამსახურის მიერ არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საწარმოს განთავსება დაგეგმილია ქუთაისი-ალპანა-მამისონის ავტომაგისტრალის

120-ე კილომეტრზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ, მაგისტრალიდან 22 მეტრის, ხოლო მდინარე რიონის კალაპოტიდან 60-70 მეტრის დაშორებით.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მიწის სამუშაოების წარმოებისას, ნაყოფიერი ფენის მოხსნა და განთავსება განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით. გამომდინარე იქედან, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია განთავსდეს ქვა-ღორღის გადამამუშავებელი მობილური აგრეგატი, საპროექტო ტერიტორიაზე მოხსნილი ნაყოფიერი ფენა, რომლის რაოდენობა დაახლოებით 700-800m^3 იქნება, დასაწყობდება საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე და შემდგომში მიმართული იქნება დანიშნულებისამებრ.

არქეოლოგიური არტეფაქტების ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების, ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი იღებს ვალდებულებას „კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. ამასთან ერთად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ცხოველთა სახეობები არ ფიქსირდება.

გამომდინარე იქედან, რომ სამსხვრეველა დანადგარი წარმოადგენს ე.წ. მობილური ტიპის აგრეგატს მისი ექსპლოატაციის პირობებში გეოლოგიური საშიშროების რისკები არ არსებობს, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია აგრეგატის მცირე წარმადობის გამო. ამასთან ერთად პროექტის ადგილმდებარეობიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება. ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარმექანიზმები (სამსხვრევები და ვიბროსაცერები). გამომდინარე იქედან, რომ აგრეგატი მცირე წარმადობისაა სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მუშაობისას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი მოსახლეობისათვის.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტს, სოფელ ნიგავზებს, არაერთგზის ვიზუალური დათვალიერებით და სათანადო ინსტრუმენტების გამოყენებით დაზუსტებულია, რომ პირველი და უახლოესი საცხოვრებელი სახლი

საწარმოდან დაშორებულია 550-600 მეტრის ოდენობით. სხვა მოქმედი შენობა-ნაგებობა საწარმოს ახლოს არ არის განთავსებული. თუ არ მივიღებთ მხედველობაში საპროექტო ობიექტიდან 60-70 მეტრში განთავსებული შპს „ბ.პ ტრანსი"-ს კუთვნილ სასაქონლო ბეტონის საწარმოს და 250-300 მეტრში განთავსებული შპს „დაგი+"-ს კუთვნილ სასაქონლო ბეტონის საწარმოს.

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების საგულისხმო სახეებათ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. თუმცა როგორც ავღნიშნეთ საწარმოს შემოგარენში არ არსებობს მსგავსი ტიპის, მაღალი ხმაურის გამომწვევი საწარმო, ხოლო რაც შეეხება ბეტონის ორ საწარმოს, ისინი არ განეკუთვნებიან მაღალი ხმაურის გამომწვევ საწარმოთა რიცხვს. ამასთან, ერთად, ორივე საწარმო აღჭურვილია მტვერდამჭერი სახელოიანი ფილტრებით, რომელთა მქკ 99,9 %-ია.

საწარმოს ფუნქციონირებით შედეგად ადგილი ექნება როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. საწარმოს ფუნქციონირების დროს საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების სახეობები იქნება: კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები, 40-50 კილოგრამი წელიწადში და სხვა ჰიდრავლიკური ზეთები, 20-30 კილოგრამი წელიწადში.

სახიფათო ნარჩენების მაქსიმალურად უსაფრთხო მართვისათვის საწარმოს ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს უზრუნველყოს მათი შეგროვება და საწარმოს ტერიტორიაზე დროებით შენახვა, შემდგომ მათი ტერიტორიიდან გატანა და შესაბამის ლიცენზირებულ სამსახურზე გადაცემა არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი ზეთების და ზეთოვანი ლუბრიკანტების შეგროვება მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ კასრებში და შეინახება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სათავსოში. სახიფათო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანას და მათ გადაცემას ისეთ საწარმოზე ან ორგანიზაციაზე, რომელიც უფლებამოსილია და გააჩნია სათანადო ნებართვა, განახორციელებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება არსებული ნორმების შესაბამისად.

საწარმოში დაგროვილი არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ასევე ქაღალდი და მუყაო, პლასთმასი და რეზინა, ტერიტორიიდან გატანას მოახდენს ონის მუნიციპალიტეტის სანდასუფთავების სამსახური არსებული ხელშეკრულების თანახმად.

საწარმოში ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა მოხდება ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და სანიტარული ნორმების სრული დაცვით, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია როგორც საწარმოში დასაქმებული 4

მოსამსახურე პერსონალის, ასევე დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, საწარმო აღიჭურვება სახანძრო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო დაფით, თანახმად „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ", ტექნიკური რეგლამენტისა, რაც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 1 მარტის დეკრეტის აღსრულების მიზნით, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილებისა და პანდემიის პრევენციის განხორციელების მიზნით საწარმოს ექსპლოატაციის დროს ობიექტზე დასაქმებულ 4 პერსონალს სამუშაოს დაწყების წინ გაუკონტროლდება ჯამრთელობის მდგომარეობა (ტემპერატურის გაზომვით ან გამოკითხვით) და მონაცემები შეტანილი იქნება სპეციალურ ჟურნალებში, სათანადო ზომების გატარების მიზნით. იმავდროულად, საწარმოში დასაქმებულები აღიჭურვებიან სათანადო სადეზინფექციო ინვენტარით, სხვადასხვა სახის სტიკერებით და განცხადებებით, დაკავშირებული კორონა ვირუსის მიმდინარეობაზე და მის პრევენციაზე.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მოთხოვნებების თანახმად, ხელახლად განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

/შპს „ბ.პ. ტრანსი"-ს დირექტორი /ბიჭიკო პაიკიძე/

ტელ: 577252919